ქ. თბილისი 03.06.2016

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა №03/06/02

მე, შ.პ.ს. "შერ"-ის (ს/კ №404431762) დირექტორი,
ისრაელის მოქალაქე იციკ მოშე
(დაბ.: 31.12.1959წ. ს.ს.რ.კ-ში; პასპორტის ნომერი №21027204; პირადი ნომერი: №014223143; პასპორტი გაცემული: 20.11.2013 წელს; მოქმედების ვადა: 19.11.2023 წელს; საქართველოში ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბესიკის ქუჩა №4)
ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ,
საქართველოს მოქალაქე გიორგი მგელაძეს (დაბ.: 06.07.1984წ. პ/ნ №01005011364)

რათა მან საზოგადოების სახლითა და მის მაგივრად საზოგადოების კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე განახორციელოს არქიტექტურულ-საპროექტო გეგმარება, მშენებლობის ნებართვების მოპოვება და სხვა არქიტექტურული სამუშაოები სრულად. კერძოდ, მინდობილ პირს ენიჭება შემდეგი უფლებამოსილება: შეიტანოს განაცხადი თბილისის არქიტექტურის სამსახურში საზოგადოების სახელზე რიცხულ მშენებლობასთან დაკავშირებით ნებართვის მიღებასა და გაგრძელებაზე, შეიტანოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, გააგზავნოს მოთხოვნები, განცხადებები, გაასწოროს ხარვეზები ელექტრონული ფორმით, დააპროექტოს შენობა-ნაგებობები, დაამზადოს არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები, მიმართოს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის კომისიებს და ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს სამშენებლო ნებართვებისა და პროექტების მიღების მიზნით, დაამტკიცოს პროექტები, მისცეს ახსნა-განმარტებანი და განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან და პროექტის შეთანხმებასთან. მოახდინოს ხარვეზების გასწორება და სხვა ნებისმიერი იურიდიული პროცედურების განხორციელება და ნებისმიერ იურიდიულ დოკუმენტაციაზე ხელმოწერა. ასევე გამოვიდეს ზედამხედველობის სამსახურში, მისცეს ახსნა-განმარტებები და წარადგინოს საზოგადოების პოზიცია.

აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია საზოგადოება წარმოადგინოს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მათ შორის არქიტექტურულ სამსახურებთან, ზედამხედველობის ორგანოებთან, სანოტარო ბიუროებთან, საჯარო რეესტრთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და ყველა ის პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის აღმოფხვრას და გაასწოროს ყველა შესაძლო ხარვეზი.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

იციკ მოშე

დირექტორი

